ზოგადი ხედვა

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?

“ევროპული საქართველოს” ხედვით, თბილისის განვითარება მიმართული უნდა იყოს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენის, მძიმე სოციალური ფონის გაუმჯობესებისა და თითოეული მოქალაქისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნისაკენ.

დასაქმების გაზრდა შესაძლებელია გადასახადების შემცირებით, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებითა და ბიზნესისთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენით. თბილისის შუაგულიდან რკინიგზის ხაზის გადატანა ათავისუფლებს 1,5 მილიონამდე კვადრატულ მეტრს, რომელსაც ბიზნესსექტორი ბინათმშენებლობისა და სამეწარმეო საქმიანობისთვის აითვისებს, ხოლო თვითმმართველობა - ახალი სატრანსპორტო მაგისტრალის, “ცენტრალური პარკისა” და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად.

“ევროპული საქართველოს” მიერ გატარებული პოლიტიკით, თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, თბილისში შეიქმნება 35,000 სამუშაო ადგილი, 200,000-ზე მეტი პენსიონერი მიიღებს 50-ლარიან ყოველთვიურ საპენსიო დანამატს, ხოლო 100,000-მდე სოციალურად დაუცველი - დამატებით 70 ლარის საარსებო შემწეობას თვეში.

“ევროპული საქართველო” გეგმავს, განავითაროს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ქვეითთათვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის შექმნას მოსახერხებელი ინფრასტრუქტურა, მიმართოს რესურსი ავარიული სახლების პრობლემის აღმოსაფხვრელად, საბიუჯეტო სახსრების ეფექტური ხარჯვითა და კერძო ინვესტიციების ხელშემწყობი სხვადასხვა პროგრამის განხორციელებით მოახდინოს ქალაქის ისტორიული უბნების რეაბილიტაცია, სატვირთო რკინიგზის გადატანის შედეგად გათავისუფლებულ ტერიტორიაზე - 20 ჰექტარზე - გააშენოს “ცენტრალური პარკი”.

გრძელვადიან პერსპექტივაში, თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი 100%-ით ეკოლოგიურად სუფთა უნდა გახდეს. ამ მიზნამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ. 10 წლის შემდეგ, მუნიციპალიტეტს საერთოდ აღარ ეყოლება დიზელსა და ბენზინზე მომუშავე, გამონაბოლქვის გამომყოფი ტრანსპორტი. ამისათვის, 2018 წელსვე დაიწყება ავტოპარკის შევსება-განახლება. შემდეგ ეტაპზე, გაზზე მომუშავე ავტობუსები ეტაპობრივად ჩანაცვლდება ელექტროავტობუსებით. ავტობუსების ჩანაცვლების პარალელურად, მეტროსთან ერთად, განვითარდება ეკოლოგიისთვის აბსოლუტურად უვნებელი, თანამედროვე ტრამვაი და საბაგირო გზა. ფეხით მოსიარულეთათვის მოეწყობა ,,ზებრა“ გადასასვლელები, ველობილიკები, საფეხმავლო სივრცეები.

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა?

დღეს საქართველოს ყველაზე დიდი გამოწვევა მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონია. 2016 წელს თბილისში გაიზარდა სიღარიბე და შემცირდა დასაქმება. "ევროპული საქართველოს" პოლიტიკა მიმართულია ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე, უმუშევრობის შემცირებასა და მოქალაქეების შემოსავლების მატებაზე.

"ევროპული საქართველოს" პოლიტიკა გადასახადების შემცირებაზეა ორიენტირებული. ადგილობრივი ხელისუფლების ხელთ არსებული ბერკეტი ქონების გადასახადია. სწორედ ამიტომ, საქართველოს მასშტაბით, ყველგან, სადაც "ევროპული საქართველო" გაიმარჯვებს, ქონების გადასახადი 10%-ით შემცირდება. ეს ნიშნავს დამატებით ათეულობით მილიონი ლარის ხალხის ჯიბეში დატოვებას. თბილისში ეს თანხა დაახლოებით 16 მილიონი ლარი იქნება ხოლო მთელი საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 36 მილიონი.

დასაქმების მნიშვნელოვანი წყაროები, "ევროპული საქართველოს" პროგრამის მიხედვით, იქნება თბილისის ცენტრიდან რკინიგზის გადატანა, ქალაქის ისტორიული უბნების რეაბილიტაცია და იქ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა.

სატვირთო რკინიგზის გადატანისა და ქალაქის ცენტრში უშუალოდ რკინიგზით დაკავებული ტერიტორიის გათავისუფლებისა და განვითარების შედეგად, აშენდება 800,000 კვადრატულ მეტრამდე ფართობის საცხოვრებელი ბინა, 300,000 კვადრატულ მეტრამდე ფართობის ოფისი, 200,000 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის სავაჭრო ობიექტი, სასტუმრო და კაფე-რესტორანი, 20 ჰექტარი ფართობის "ცენტრალური პარკი".

ქალაქში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები გონივრულად და ეფექტიანად განხორციელდება. ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობით თუ არსებულის (დენდროლოგიური პარკი, თბილისის ეროვნული პარკი, ხუდადოვის ტყე) რეკონსტრუქციით, ახალი ხიდებისა და ესტაკადების მშენებლობით, სხვა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდეგ.

3. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის?

2016 წელს თბილისში გაიზარდა უმუშევრობა და სიღარიბე, რაც ინვესტიციების ნაკლებობითა და ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებითაა გამოწვეული. ამის მიზეზი კი, თავის მხრივ, გაუმართლებლად გაზრდილი ბიუროკრატიის მიერ თბილისის 826 მილიონიანი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილის კორუფციულ სქემებსა და არაეფექტიან პროგრამებში ფლანგვაა.

თბილისის მმართველობის ზედა რგოლები დაკომპლექტებულია ნეპოტიზმის საფუძველზე; არაკომპეტენტური მმართველები მხოლოდ თავის ფუფუნებასა და კეთილდღეობაზე ზრუნავენ.

დღეს თბილისის მერიის ინფრასტრუქტურული ხარჯი 308 მილიონი ლარია, რაც ქალაქს არ ეტყობა, რადგან ამ თანხების საკმაოდ დიდი ნაწილი კორუფციასა და ნეპოტური ნიშნით ბიუროკრატიის ზრდაში იფლანგება; საქმე არაკომპეტენტურად და უხარისხოდ კეთდება.

ქალაქის განაშენიანებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ხშირად კანონდარღვევით, კორუფციული მოტივებით მიიღება, რაც ქალაქის იერსახეს და საცხოვრებელ გარემოს სერიოზულად აზიანებს.

თბილისში განსაკუთრებით მწვავეა ავარიული საცხოვრებელი ფონდის, ასევე შეჩერებული (მიტოვებული) მშენებლობების საკითხი. დღეს ქალაქში 3,000-ზე მეტი ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლია (მათი დიდი ნაწილი ე.წ. "ხრუშოვკაა"). დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლებიდან ქირით 1,700-მდე ოჯახია გაყვანილი, ხოლო ქირაში გადახდილი თანხა, ყოველწლიურად, დაახლოებით, 6 მილიონი ლარია. უმეტესობას უწევს საკუთარი სახსრებით, თვითნებურად გამაგრებულ, სიცოცხლისთვის სრულიად შეუსაბამო სახლებში ცხოვრება.

არსებული ბიუროკრატიული პროცედურების ან სხვა შეზღუდვების გამო, ადამიანები ვერ ახერხებენ მათ საკუთრებაში არსებული ავარიული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აღდგენას ან, თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არაა, ძველის ახლით ჩანაცვლებას.

თბილისში მოსახლეობის დიდი ნაწილი მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში (ე.წ. კორპუსებში) ცხოვრობს, რომელიც ძირითადად მე-20 საკუნეში, საბჭოთა კავშირის დროს აშენდა, მაშინ არსებული ტექნოლოგიების შესაბამისად, და რომელიც დღეს, ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით, აბსოლუტურად შეუსაბამოა თანამედროვე სტანდარტებთან. დიდია თბოდანაკარგები და, შესაბამისად, საკმაოდ მაღალია მოსახლეობის ხარჯი ბუნებრივი გაზის თუ ელექტრონერგიის მოხმარებისას.

ქალაქის ეკოლოგიაზე უარყოფითად მოქმედებს გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობა, რასაც ამწვავებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი უკმარისობა და, შესაბამისად, მისი არაპოპულარობა.

4. *თქვენი აზრით, რა არის თქვენი ქალაქის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომლის გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?*

თბილისში საქართველოს მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს, თუმცა ის საქართველოს ეკონომიკის თითქმის ნახევარს ქმნის. ქალაქში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი, საქართველოს სხვა ქალაქებთან და რეგიონებთან შედარებით, თითქმის 2,5-ჯერ მეტია. ეს ნიშნავს იმას, რომ თბილისი საკმაოდ დიდი ბაზარია და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობაც ბევრად მაღალია, ვიდრე საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში.

თბილისი ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური ცენტრია. შესაბამისად, თბილისშია კონცენტრირებული ბიზნეს აქტივობის დიდი ნაწილი და სწორი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ქალაქს აქვს რესურსი, მოიზიდოს დიდი ოდენობით ინვესტიცია, რაც გაზრდის ეკონომიკას და შეამცირებს სიღარიბესა და უმუშევრობას.

თბილისის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი მსხვილი პროექტი რკინიგზის გადატანაა. გამოთავისუფლებული ადგილის სწორად ათვისების შემთხვევაში, ქალაქში შეიქმნება ათიათასობით სამუშაო ადგილი. ასევე, მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცემა, უკეთეს გარემოში იცხოვროს და იმუშაოს.

რკინიგზის გადატანა წელიწადში 6,750 სამუშაო ადგილს შექმნის. ევროპული საქართველოს გათვლებით, ამისთვის საჭიროა დაახლოებით 135 მილიონი ლარის ინვესტიცია, რასაც 1,3 მილიონ კვადრატულ მეტრზე საცხოვრებელი და საოფისე ფართების, აგრეთვე, სავაჭრო ცენტრებისა და კაფე-რესტორნების გაშენება უზრუნველყოფს.

20 ჰექტარზე "ცენტრალური პარკის" გაშენება წელიწადში 500 სამუშაო ადგილს შექმნის, ხოლო ინფრასტრუქტურული ხარჯების ეფექტიანი და გონივრული გამოყენება - დაახლოებით 1,000 სამუშაო ადგილს წელიწადში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქონების გადასახადის შემცირება კერძო სექტორში დაახლოებით 16 მილიონ ლარს დატოვებს, რაც დამატებით 500 სამუშაო ადგილს ნიშნავს. ჯამში 2018 წელსვე თბილისში 8,750 სამუშაო ადგილი შეიქმნება.

ასევე, აუცილებელია თბილისი-რუსთავის გზის მშენებლობის დაჩქარება, რაც ორივე ქალაქის - მთლიანი აგლომერაციის ლოჯისტიკურ ფუნქციას კიდევ უფრო გააძლიერებს. ეს ნიშნავს დამატებით სამუშაო ადგილებს და მოსახლეობისთვის დამატებითი შესაძლებლობების შექმნას.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა

"ევროპული საქართველო" გაანახევრებს ბიუროკრატიას (ბიუჯეტის დაახლოებით 5%-ს, რომელიც ჩინოვნიკების ჯიბესა და კომფორტზე მიდის), შეკვეცს არაეფექტურ ხარჯებს, აღმოფხვრის კორუფციასა და ნეპოტიზმს, დაზოგავს თანხებს (200 მილიონი თბილისის 826-

მილიონიანი ბიუჯეტიდან) და ფინანსურ რესურსს უფრო ეფექტიანად მიმართავს როგორც სოცალურ, ისე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ბევრ ადამიანს უჭირს, იზრდება სიღარიბე და უმუშევრობა, ეკონომიკა დაბალი ტემპით ვითარდება და როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მთავრობა, სრულიად არაპროფესიონალურად და არაკომპეტენტურად პასუხობს გამოწვევებს, თბილისში "ევროპული საქართველო" 200,000-ზე მეტ პენსიონერს პირდება 50 ლარიან ყოველთვიურ საპენსიო დანამატს, ხოლო 100,000-მდე სოციალურად დაუცველს - დამატებით 70 ლარიან საარსებო შემწეობას თვეში.

მარცხისთვის განწირული "მილიონი ხის" პროგრამის ნაცვლად, "ევროპული საქართველო" გადადგამს რეალურ ნაბიჯებს ქალაქის გამწვანების, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თითოეული მოქალაქისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნისკენ.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად?

"ევროპული საქართველო" ბიზნესის ხელშეწყობისთვის ქონების გადასახადს 10%-ით შეამცირებს. „საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ" (Public-Private Partnership) "ევროპული საქართველოს" ინიციატივის ფარგლებში, თბილისის მერია აქტიურად ჩაერთვება კერძო სექტორისთვის გარკვეული გარანტიების მიცემაში, რისკების გადანაწილებასა და ბიზნესშესაძლებლობების გაფართოებაში.

განახლდება ქალაქის ისტორიული უბნების - მაგალითად, მეტეხის უბნის, ხარფუხის, მაჭრისხევის - რეაბილიტაცია და იქ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა. ტურისტულად მიმზიდველ უბნებში არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციით, მათ მესაკუთრეებს გაუჩნდებათ შესაძლებლობა, წამოიწყონ ბიზნესი და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები ისევე, როგორც ეს მოხდა კალაუბნის, აბანოთუბნის, აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის შემდეგ.

ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საფეხმავლო სივრცეების მოწესრიგებას იმგვარად, რომ პროექტის დასრულების შემდეგ, შესაძლებელი იყოს რეაბილიტირებულ სივრცეებში ახალი მცირე ბიზნესების შექმნა (პატარა კაფეები, ატრაქციონები ბავშვებისთვის, სავაჭრო დახლები, მოწესრიგებული გარევაჭრობის ადგილები), რაც ქალაქში დამატებით ათასობით სამუშაო ადგილს გააჩენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსხვილი ინდუსტრიული საწარმოები ქალაქის ფართობის 17,4%-ს იკავებდა. მათი დიდი ნაწილი დაიხურა, რამაც განაპირობა ქალაქის ფარგლებში უფუნქციო ტერიტორიების, ე.წ. "ბრაუნფილდების" გაჩენა.

მოცემული ადგილების გამოყენება შესაძლებელია როგორც კომერციული, ასევე მუნიციპალური პროექტებისათვის, მათ შორის, სარეკრეაციო ზონების, საზოგადოებრივი სივრცეების, სოციალური ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. თბილისში „ბრაუნფილდები“ ქალაქის თითქმის მთელს სიგრძეზე, მტკვრისა და რკინიგზის დერეფნის გასწვრივაა განლაგებული. ისინი იწვევენ ქალაქის სტრუქტურის ფრაგმენტაციას და უარყოფითად მოქმედებენ მიმდებარე ტერიტორიების განვითარების პოტენციალზე. მოცემული პრობლემის მოგვარება გააჩენს ახალ შესაძლებლობებს თბილისის მაცხოვრებლებისთვის, რაც დადებითად აისახება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა

7. რა ღონისძიებებს გაატარებთ უკეთესი ხარისხის საბინადრო პირობების შესაქმნელად მოქალაქეებისთის?

“ევროპული საქართველო” საბიუჯეტო სახსრებით გააგრძელებს მწვავედ ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრებას, ქალაქის ისტორიული, ტურისტული პოტენციალის მქონე უბნების რეაბილიტაციას, თუმცა ამავდროულად, საბიუჯეტო დაფინანსების ეფექტურად გამოყენებით, უნდა შევქმნათ ამ პროცესში სამშენებლო ბიზნესისა და ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობის სტიმულირების სპეციალური პროგრამა, რომლის შედეგადაც ათასობით ავარიული, უკვე დანგრეული და ქალაქში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების პრობლემა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გარანტიით, კერძო ინვესტორებთან ერთად გადაიჭრება.

“ევროპული საქართველო” თბილისის ბიუჯეტიდან დააფინანსებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარე კედლების მაღალეფექტური თბოსაიზოლაციო და ხმის საიზოლაციო მასალით შეფუთვის პროექტს, რაც შესაძლებელს გახდის ენერგორესურსების მოხმარების ეფეტურობის ამაღლებას, კომუნალური ხარჯების მკვეთრ დაზოგვას და გარემოს დაბინძურების შემცირებას. შეფუთული გარე კედლების დაბალი თბოგამტარობა და მაღალი თბოიზოლაცია უზრუნველყოფს მოხმარებული ენერგიის დაახლოებით 30%-მდე შემცირებას, რაც, ამასთანავე, საცხოვრებელი კორპუსების იერსახის მოწესრიგებსაც შეუწყობს ხელს. შესაფუთ მასალას აქვს კარგი ხანძარსაწინააღმდეგო თვისებები, უსაფრთხოა ჯანმრთელობისათვის და სუფთაა ეკოლოგიურად.

8. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქის ქუჩების სისუფთავის გასაუმჯობესებლად?

ქუჩების სისუფთავის უზრუნველყოფა და ნარჩენების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება ქალაქის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად ეკოლოგიური მდგომარეობის თვალსაზრისით. 2006 წლიდან მოწესრიგდა ქუჩების დაგვა-დასუფთავების საკითხი; ქალაქის თითქმის ყველა ქუჩაზე განთავსდა ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერები;

გაუმჯობესდა ნარჩენების გატანის სიხშირე და ხარისხი; დაიხურა გლდანის ნაგავსაყრელი, რომელიც ქალაქში ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი ფაქტორი იყო.

ჩამოთვლილი მიმართულებების ხარისხის შემდგომი სრულყოფის გარდა (ტექნიკისა და კონტეინერების მუდმივი განახლება, სპეციალური ტექნიკის დამატება და ა.შ), მთავარ გამოწვევად რჩება ნარჩენების საბოლოო უტილიზაციისთვის სპეციალური გადამამუშავებელი ქარხნის აშენება, სადაც ნარჩენების სეპარაცია და გადამუშავება მოხდებოდა.

თბილისში კვლავ მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენს სამშენებლო ნარჩენების სპეციალური პოლიგონის არარსებობა. სამშენებლო ნარჩენების არასათანადოდ განთავსება კი მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას. დღეს ამ მიმართულებით მხოლოდ სტიქიური ნაგავსაყრელებია მოწყობილი. სწორედ ამიტომ ,,ევროპული საქართველოს" ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სამშენებლო მასალების შეგროვება-გატანისა და საბოლოო უტილიზაციის პროცესის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებაა.

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

9. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისთვის?

ევროპული საქართველო გაანახლებს ავტოპარკს და განავითარებს ელექტროტრანსპორტს:

დღეს ქალაქს 680-მდე მეტწილად ამორტიზებული, არადაპტირებული და მგზავრობისთვის უკიდურესად არაკომფორტული ავტობუსი ჰყავს, საიდანაც 96 საავტობუსო მარშრუტზე ყოველდღიურად 510-მდე ავტობუსი მოძრაობს. ყოველდღიურად ავტობუსებით 390,000 ადამიანი მგზავრობს. ავტოპარკს 143 ახალი ავტობუსი დაემატა, მაგრამ პარკის შემდგომი განახლების პერსპექტივა ბუნდოვანია. არადა, ქალაქს ესაჭიროება, სულ მცირე, 800 ავტობუსი, რათა დაემატოს ახალი მარშრუტები, გაიზარდოს ავტობუსების რაოდენობა მოქმედ მარშრუტებზე და შემცირდეს ლოდინის დრო მგზავრებისთვის.

ტრამვაი - უკვე არსებობს კვლევა ტრამვაის ერთი ხაზის - უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან ორთაჭალის მიმართულებით - მშენებლობის დასაგეგმად და დასაწყებად. უცხოური საინვესტიციო ბანკებიდან აღებული 150 მილიონი ევროს ოდენობის იაფი სესხით დაიწყება დეტალური პროექტირებისა და შემდეგ - მშენებლობის სამუშაოები, რაც, შესაძლებელია, დასრულდეს 4 წლის განმავლობაში. გაგრძელდება ტრამვაის ქსელის განვითარების სხვა შესაძლებლობების კვლევა-შესწავლა, პროექტირება და მომზადება მისი განხორციელებისთვის.

საბაგიროები - დაიწყება შემდეგი ხაზების მშენებლობა: უნივერსიტეტი - ბაგები - წყნეთი; დიდუბე - ვაშლიჯვარი - ლისი; თბილისის ზღვა - ლოტკინი - სადგურის მოედანი; ზღვის უბანი - ახმეტელის თეატრი; ვაზისუბანი - მეტრო "სამგორი"; ვაკის პარკი/კუს ტბის დაკავშირება ახალ სადგურთან მთაწმინდაზე და მთაწმინდის დაკავშირება ნარიყალა/რიყის არსებულთან.

თბილისის მეტრო - დღეს არსებული მდგომარეობით, მეტრო ქალაქში მგზავრების ერთ-ერთი მთავარი გადამყვანია. ყოველდღიურად მეტროთი 300,000-მდე მოქალაქე მგზავრობს. გარდა იმისა, რომ კაპიტალურად განახლდება მეტროს არსებული ინფრასტრუქტურა, დაიწყება მეტროს ახალი ხაზების დაპროექტება.

10. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასრულების (მაშინ, როცა სამუშაოების 80% დასრულებულია) უმიზეზოდ და უვადოდ გადადებამ, მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის (სამტრედიის ქუჩასთან) მშენებლობაზე უარის თქმამ, ფაქტობრივად, დედაქალაქს სატრანსპორტო განტვირთვის პერსპექტივა მოუკლა. ქალაქის მაცხოვრებლებისთვის საცობები აუტანელ პრობლემადაა ქცეული.

რკინიგზის გადატანის შედეგად ახალი შესაძლებლობების გაჩენა საგრძნობლად განტვირთავს ქალაქში სადღეისოდ არსებულ ქალაქის არტერიებს და მომავალში ხელს შეუწყობს საცობების პრობლემების მოგვარებას (იხ. დეტალურად ქვემოთ).

ტროტუარებზე პარკინგის აკრძალვა პარკირების ორგანიზებისა და კონტროლის საჭიროებას წარმოშობს. დღეს ქალაქში ყოველდღიურად 400,000-მდე მანქანა მოძრაობს, პარკირების ადგილი კი სულ 3,800-მდეა. ტროტუარების მანქანებისგან გათავისუფლებასთან ერთად, დაიწყება მიწისქვეშა პარკინგების მშენებლობა და პარკირების ზონების შექმნა. საცხოვრებელი, საოფისე და სხვა დანიშნულების შენობაში მცხოვრებთა და დასაქმებულთა რაოდენობისა და ფართობის მიხედვით დადგინდება პარკირების ზონების ზუსტი კრიტერიუმები და ავტოსადგომების მინიმალური ადგილების რაოდენობა, რაც მკაცრად იქნება დაცული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებისას. იმ ადგილებში, სადაც დასაქმებული პირების, ბიზნესის ოფისების, სასწავლო დაწესებულებების მაღალ კონცენტრაციას აქვს ადგილი, ამოქმედდება პარკირების საფასურის დროზე მიბმული სისტემა.

11. რა ღონისძიებების გაატარებთ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაქში გადაადგილების შესაძლებლობის გაუმჯობესებისთვის?

თბილისის საზოგადოებრივი სივრცე - სადარბაზო, ლიფტი, ეზო, ქუჩა, გადასასვლელი, სკვერი, პარკი, საჯარო დაწესებულება - არამეგობრულია შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთათვის, რის გამოც დროის უდიდეს ნაწილს ისინი სახლში ატარებენ. ეს გარემოება ზღუდავს მათ შესაძლებლობას, მიიღონ განათლება, დაეუფლონ პროფესიას და დასაქმდნენ, რაც ადამიანის თვითრეალიზაციის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. "ევროპული საქართველო" გეგმავს:

- დახვეწოს სამშენებლო რეგულაციები, რათა საზოგადოებრივი სივრცე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილებაზე მორგებული გახდეს (პანდუსები და და ხმოვანი მანიშნებლებით აღჭურვილი სპეციალური ბილიკები ტროტუარებზე; ხმოვანი შუქნიშნები; სპეციალური ლიფტები მიწისქვეშა გადასასვლელებში);

- დააწესოს შესაბამისი პირობები მუნიციპალურ სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ტენდერების რეგლამენტში;

- გახადოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის; ადაპტირებულ საზოგადოებრივი ტრანსპორტში (ასევე საჯარო დაწესებულებების სივრცეებსა და საჯარო მოხმარების მუნიციპალურ აპარატებზე) იყოს ბრაილის შრიფტით შესრულებული წარწერები;

- ჩაატაროს კამპანიები საკითხზე საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად.

კულტურა და განათლება

12. რა პროგრამებს განახორციელებთ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისთვის?

ძველი თბილისის რეაბილიტაციით და სხვა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებით, „ევროპული საქართველო" შეძლებს მრავალი კულტურული ძეგლის შენარჩუნებას. დამატებით, ჩვენ მეტ ყურადღებას და ძალისხმევას დავუთმობთ საბჭოთა ოკუპაციის უარყოფითი მემკვიდრეობის წარმოჩენას თბილისის მასშტაბით. ჩვენ აღვადგენთ და რეაბილიტაციას გავუწევთ იმ შენობებს, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ოფიცრები, საჯარო მოხელეები და ანტიკომუნისტური მოძრაობის წევრები. ასევე, შენობებს, სადაც „ჩეკა" ასამართლებდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ქართველ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ აქტივისტებს. ერთ-ერთი ასეთი შენობაა ჩეკას მაშინდელი სათაო ოფისი ინგოროყვას ქუჩაზე. „ევროპული საქართველოს" ბოლო და არა უკანასკნელი ძალისხმევა იქნება იმ ადგილების რეაბილიტაცია, მარკირება და მემორიალის სტატუსის მინიჭება შიდა და გარე ტურისტების მისაზიდად, სადაც ადგილი ჰქონდა მასობრივ მკვლელობებს და აღმოჩენილია მასობრივი სასაფლაოები (მაგალითად, ვაკის პარკი და რუსთავისკენ მდებარე თბილისის გარეუბნები).

13. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

თბილისში ბაგა-ბაღების მომსახურებით სარგებლობის მსურველთა მწვავე პრობლემას ბაღებში ადგილების სიმცირე წარმოადგენს. 2015 წლის მონაცემებით, თბილისში ფუნქციონირებდა 160 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც ირიცხებოდა საშუალოდ 56,000-მდე აღსაზრდელი; იმავე პერიოდში საბავშვო ბაგა-ბაღებს მიმართა 6,500 ბავშვის მშობელმა, მაგრამ რეგისტრაცია ვერსად შეძლო. 2017 წლის მონაცემებით, თბილისში ფუნქციონირებს 166 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც ირიცხება საშუალოდ 59,589 აღსაზრდელი; მიმართვის შემდეგ, საბავშვო ბაგა-ბაღებში რეგისტრაციის გარეშე დარჩენილია 6,000 ბავშვი.

იმ პირობებში, როცა სისტემას დაემატა 6 საბავშვო ბაღი, რომელიც, საერთო ჯამში, უზრუნველყოფს დამატებით 2,300 აღსაზრდელის მიღებას, მდგომარეობა ფაქტობრივად არ გაუმჯობესებულა და მომლოდინეთა რიცხვი თითქმის უცვლელი დარჩა. პრობლემის აღმოსაფხვრელად კიდევ საჭიროა მინიმუმ 10,000 ადგილი. ახალი ბაღების მშენებლობა არ წარმოადგენს პრობლემის დროული და ეფექტური გადაწყვეტის გზას.

„ევროპული საქართველოს" აზრით, ბაგა-ბაღების დაფინანსება ვაუჩერული გზით უნდა განხორციელდეს. ეს ნიშნავს, რომ არცერთი ბავშვი არ დარჩება საბავშვო ბაღის გარეშე. ბაგა–ბაღები ისევ უფასოდ შეძლებენ აღსაზრდელთა მიღებას, თუმცა ის ბავშვები, რომლებიც ადგილების შეზღუდული რაოდენობის გამო ვერ მივიდნენ მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში, კერძო საბავშვო ბაღებში სიარულს შეძლებენ ბიუჯეტის დაფინანსებით.

უფრო კონკრეტულად: "ევროპული საქართველო" შემოიღებს ყოველწლიურ 1,500-ლარიან ვაუჩერს საბავშო ბაღის ასაკის თითოეულ ბავშვზე, რომლითაც დაფინანსება მოხდება არა მხოლოდ მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში, არამედ კერძო საბავშვო ბაღებშიც. ეს შესაძლებელს გახდის საბავშვო ბაღის ასაკის ყველა ბავშვის დაფინანსებას, რაც, ერთი მხრივ, სწრაფად და ეფექტურად აღმოფხვრის საბავშვო ბაღებში ადგილების დეფიციტს, მეორე მხრივ, გამოიწვევს კერძო საბავშვო ბაღების სისტემის განვითარებას და ამ სფეროში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

უსაფრთხოება და კრიმინალი

14. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

2011-2013 წლებში თბილისმა ერთ-ერთი უსაფრთხო ქალაქის სახელი დაიმსახურა ევროპაში. ეს კარგ სამსახურს უწევდა თბილისს ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისითაც. სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ქუჩები იმდენად უსაფრთხო აღარაა.

უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციის ფარგლებში, "ევროპული საქართველო" შექმნის მოქალაქეების უსაფრთხოდ გადაადგილების ინფრასტრუქტურას, რაც გულისხმობს:

- გარე განათების პრობლემების მოგვარებას, განსაკუთრებით კი შემოერთებულ დასახლებებში;
- მიწისქვეშა გადასასვლელების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და მოწესრიგებას;
- ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით კორპუსების მიმდებარე ტერიტორიისა და ეზოების განათების მოწესრიგებას, სადარბაზოების შესასვლელებისა და თავად სადარბაზოების დაცულობის ხარისხის გაზრდას.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

15. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა და რა სოციალური პროგრამების განხორციელებაზე იზრუნებთ ქალაქში?

დაბალი ეკონომიკური ზრდა, მთელი ქვეყნის მსგავსად, თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც აისახა. ძალიან ცოტაა პენსიონერი და სოციალურად დაუცველი, რომლის ჯიბესაც სურსათისა და მედიკამენტების გაძვირება მნიშვნელოვნად არ შეეხო. ამიტომ ასეთ ვითარებაში "ევროპული საქართველო" გამოსავლად მიიჩნევს ყოველთვიური საპენსიო 50 ლარიანი დანამატის შემოღებასა და საარსებო შემწეობის ოდენობის გაზრდას 70 ლარით ერთ სოციალურად დაუცველზე თვეში.

მნიშვნელოვანია, დაიწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო პროგრამების მუნიციპალურ დონეზე გადატანა, მათი დაფინანსებისა და ეფექტურობის გაზრდა, ამგვარი მუნიციპალური და (ეტაპობრივად) სახელმწიფო პროგრამების ინტეგრირება საბავშვო ბარებსა და სკოლებში.

თბილისს, როგორც ყველაზე ძლიერ მუნიციპალიტეტს, შეუძლია განახორციელოს პილოტ-პროექტები, რომლებიც შემდგომ სხვა მუნიციპალიტეტებში დაინერგება. მუნიციპალიტეტის როლის ზრდა უნდა მოხდეს თემთან დიალოგით, ჯანდაცვის და განათლების სამინისტროებთან მჭიდრო კოორდინაციით, ეტაპობრივად. პილოტირებითა და თანადაფინანსებით შესაძლებელია ჯანდაცვის სამინისტროს ქვეშ არსებული შემდეგი სახელმწიფო პროგრამების მუნიციპალურ დონეზე გადატანა:

- ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ის ნაწილი, რომელიც 3-დან 7 წლამდე ბავშვებზეა ორიენტირებული;
- ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა;
- დღის ცენტრების ქვეპროგრამა;
- სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა.

სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა მშობლები დღეს რთული არჩევანის წინაშე დგანან: ადრეული ინტერვენციისა და დღის ცენტრებში ბავშვის ტარების შემთხვევაში, მათ, პრაქტიკულად, ესპობათ საშუალება, ბავშვი პარალელურად საბავშვო ბაღსა და სკოლაში ატარონ. ამიტომ სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად, "ევროპული საქართველო" გეგმავს:

- 3-დან 7 წლამდე ბავშვებზე ორიენტირებული მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების ინტეგრაციას საბავშვო ბაღებში და თბილისის ყველა საბავშვო ბაღში ადრეული ინტერვენციის ოთახის მოწყობას;

- 7-დან 18 წლამდე ბავშვებზე ორიენტირებული მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების სკოლებში ინტეგრაციის პილოტირებას და თბილისის 20 სკოლაში დღის ცენტრის მოწყობას.

ბაღებში ადრეული ინტერვენციის ოთახებისა და სკოლებში დღის ცენტრების მართვის გადაცემა სერვისის გარე მომწოდებლებზე მოხდება.

16. რა ღონისძიებებს განახორციელებთ ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გასაუმჯობესებლად?

ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გაუმჯობესება დიდწილად ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ განვითარებასა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის შედეგებზეა დამოკიდებული, თუმცა თბილისის თვითმმართველობას, ქალაქის მასშტაბიდან გამომდინარე, მასში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. ამ ინდიკატორებზე გავლენას მოახდენს:

- თბილისში მცხოვრებ 203,000 პენსიონერზე 50 ლარიანი ყოველთვიური დანამატის გაცემა და ერთ სოციალურად დაუცველზე თვეში საარსებო შემწეობის მოცულობის 70 ლარით მომატება, რადგან ეს გაზრდის ჯანდაცვაზე (ძირითადად, მედიკამენტებზე) მათ ფინანსურ ხელმისაწვდომობას;

- დასაქმების გაზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რაც შედეგად მოიტანს 35 000-ით მეტ დასაქმებულს და გააუმჯობესებს თბილისში მცხოვრები ოჯახების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას, შესაბამისად - ჯანდაცვაზე მათ ფინანსურ ხელმისაწვდომობას;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება საზოგადოების ყველაზე დაუცველი პირებისათვის უკეთეს პირობებს შექმნის;

- ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების უფრო ეფექტური მიმართვა შესაბამისი მიზნობრივი ჯგუფებისკენ.

17. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში მიუსაფრთა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

"ევროპული საქართველო" მიუსაფარ მოქალაქეებს მოუწესრიგებს სამოქალაქო რეგისტრაციას, რაც შესაძლებელს გახდის მათ ჩართვას საარსებო შემწეობის მიმღებთა სიაში.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

18. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

ევროპის ქალაქების მერების შეთანხმების შესაბამისად, 2020 წლამდე თბილისში CO2 20%-ით უნდა შემცირდეს. სამწუხაროდ, თბილისში გარემოს დაბინძურებისა და ეკოლოგიის მხრივ მძიმე მდგომარეობაა და ეს პრობლემა კომპლექსურ ხასიათს ატარებს. დაბინძურების მთავარი წყაროები ავტომანქანები და მათი გამონაბოლქვი, მშენებლობები, მათი ნარჩენები და მტვერი, მოსახლეობის მიერ ტექნიკური პარამეტრების დარღვევით დამონტაჟებული გამათბობლები და მწვანე საფარის ნაკლებობა. ეს ყოველივე გვაძლევს საკმაოდ მძიმე სურათს და პრობლემიდან გამოსავალიც კომპლექსური ხასიათის უნდა იყოს.

პირველ რიგში, აუცილებელია განიტვირთოს საავტომობილო მოძრაობა, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ხოლოვნურად შემოღებული რეგულაციების გზით და ისედაც შეჭირვებული მოსახლეობის ხარჯზე. გრძელვადიან პერსპექტივაში, თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი 100%-ით ეკოლოგიურად სუფთა უნდა გახდეს. ამ მიზნამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივალთ. 10 წლის შემდეგ, მუნიციპალიტეტს საერთოდ აღარ ეყოლება დიზელზე და ბენზინზე მომუშავე, გამონაბოლქვის გამომყოფი ტრანსპორტი. იქამდე კი:

- ავტობუსების ჩანაცვლების პარალელურად, მეტროსთან ერთად უნდა განვითარდეს ეკოლოგიისთვის აბსოლუტურად უვნებელი, თანამედროვე ტრამვაი და საბაგირო გზა;
- მოეწყობა ფეხით მოსიარულეთათვის ,,ზებრა" გადასასვლელები, ველობილიკები, საფეხმავლო სივრცეები.

ყოველივე ეს განტვირთავს საავტომობილო მოძრაობას და გარკვეულ შეღავათს მისცემს ქალაქის ეკოლოგიას. გარდა ამისა:

- მშენებლობის მიმდინარეობისას მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს ისეთი ელემენტარული ნორმების დაცვაზე, როგორიცაა მშენებლობის შეფუთვა და ნაგვის გატანა;

- სპეციალურად სამშენებლო ნარჩენებისთვის უნდა გაიხსნას ცალკე ნაგავსაყრელი;
- ყველა გადაწყვეტილება ახალი მშენებლობის შესახებ მიღებული იქნება კონკრეტული უბნის საცხოვრებელი გარემოს, ეკოლოგიური მდგომარეობის, საკომუნიკაციო ქსელების გათვალისწინებით;
- თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსდება პროექტები, რომელიც მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში აამაღლებს ენერგორესურსების მოხმარების ეფექტურობას, ამით დაწევს კომუნალური ხარჯებს და შეამცირებს გარემოზე უარყოფით გავლენას.

ყოველივე ეს, რკინიგზის ცენტრიდან გადატანისა და მწვანე ნარგავების მასის გაზრდასთან ერთად, თვისობრივად გამოასწორებს თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობას.

19. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

"ევროპული საქართველოს" გეგმის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ქალაქის ცენტრიდან რკინიგზის გადატანაა. რკინიგზის გადატანის შედეგად, საცხოვრებელი გარემო გახდება უსაფრთხო, ჯანსაღი, ხოლო უძრავი ქონება ინვესტორებისთვის მიმზიდველი. საცხოვრებელ უბნებს მოეხსნებათ მუდმივი ხმაურის, ჰაერის დაბინძურების, მაღალი ძაბვის გამოსხივების ზემოქმედება და ეკოლოგიური საფრთხე. გაუქმდება რკინიგზის სიახლოვეს მოქმედი სამშენებლო შეზღუდვა და შესაძლებელი გახდება მიმდებარე უბნების განვითარება. გამოთავისუფლებული ტერიტორიის ნაწილზე, 20 ჰექტარზე გაშენდება "ცენტრალური პარკი".

"ევროპული საქართველო" განაახლებს არსებულ პარკებს და არ დაუშვებს სტატუსებით მანიპულაციას, როგორც ეს, მაგალითად, ბოტანიკური პარკის შემთხვევაში მოხდა. ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით მოხდება ახალი სკვერებისა და მინიპარკების განაშენიანება. მოხდება არა მხოლოდ ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, არამედ არსებულის (დენდროლოგიური პარკი, თბილისის ეროვნული პარკი, ხუდადოვის ტყე) რეკონსტრუქცია, მცირე სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა თბილისელებისთვის.

ყველა გადაწყვეტილება ახალი მშენებლობის შესახებ მიღებული იქნება კონკრეტული უბნის საცხოვრებელი გარემოს, ეკოლოგიური მდგომარეობის, საკომუნიკაციო ქსელების გათვალისწინებით. ტურისტულ ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, შეიქმნება ახალი რეკრეაციული ზონები.

დღეს თბილისის ბიუჯეტიდან გამწვანებაზე 25 მილიონი ლარი იხარჯება. ამ თანხის დიდი ნაწილი ისევ ბიუროკრატიის შენახვას ხმარდება, ხოლო ნაწილი უბრალოდ იფლანგება, რადგან ნარგავების დარგვისას და მოვლისას არ არის დაცული შესაბამისი სტანდარტები. ამ

თანხით სავსებით შესაძლებელია ოთხი წლის განმავლობაში ქალაქის გამწვანების საკითხში მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანა.

20. რის გაკეთებას აპირებთ სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

დღეს თბილისის ბიუჯეტიდან სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად 20 მილიონ ლარამდე იხარჯება. ამ თანხის დიდი ნაწილი ისევ ბიუროკრატიის შენახვას ხმარდება, ხოლო ნაწილი უბრალოდ იფლანგება, მმართველი გუნდის პარტიულ ღონისძიებების ჩასატარებლად და ქართულ ოცნებასთან დაახლოებული ჯგუფების, მათ შორის, ძალადობის ელემენტების შემცველის, წასახალისებლად. "ევროპული საქართველო" მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიუროკარტიულ დანახარჯებს, ხოლო ძირითადი თანხით მოახდენს:

- მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობას ყოველ უბანსა და ეზოში;
- სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელისშეწყობას უნივერსიტეტებთან, სკოლებთან და ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- სამოქალაქო აქტივობისა და განათლების წახალისებას;
- სარეკრეაციო და გასართობი ზონების მოწყობას;
- ველობილიკებისა და საფეხმავლო სივრცეების მოწყობას.

ამ სფეროში მერია მჭიდროდ ითანამშრომლებს ბიზნეს სექტორთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან.

თბილისი

1. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების უსაფრთხოების და კომფორტის გასაუმჯობესებლად?

განხორციელდება ადაპტირებული ტროტუარების აღდგენის პროექტი, მოეწყობა ზებრა გადასასვლელები ფეხით მოსიარულეთათვის, ტროტუარები გათავისუფლდება პარკინგისგან, გაკეთდება ველობილიკები, სწორად დაიგეგმება და მოწესრიგდება საფეხმავლო სივრცეები. გაგრძელდება გზაჯვარედინებზე უსაფრთხოების კუნძულების მოწყობა, მართვის ერთიან სისტემაში ჩართული შუქნიშნების ქსელის გაფართოება.

2. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში საავტომობილი მოძრაობის მოწესრიგების და საცობების შემცირების მიზნით?

ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და საცობებისგან განსატვირთად აუცილებელია მინიმუმ შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება:

- წყნეთი-სამადლოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის აღდგენა;
- უნივერსიტეტის ქუჩის და ბაგების დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა;
- თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩების გადაკვეთაზე საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა ესტაკადით;
- გივი კარტოზიას ქუჩის, ბახტრიონის გვირაბის თამარაშვილის ქუჩასთან დამაკავშირებელი უსახელო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა;
- ვერის ხეობიდან გამომავალი ახალი მაგისტრალის გვირაბით დაკავშირება გმირთა მოედანზე არსებულ, ლაგუნასკენ მიმავალ გვირაბთან;
- სარაჯიშვილის ქუჩის (ვაშლიჯვარი) მარშალ გელოვანთან დაკავშირება ესტაკადით;
- მარშალ გელოვნის მოედანზე („ვეფხვი და მოყმესთან“) საგზაო მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (გვირაბით);
- გალაკტიონის ხიდის მარცხენა მხარეს (უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე ასასვლელი) პანდუსის მოწყობა;
- შეშელიძის და გობრონიძის ქუჩების კვეთასთან მოძრაობის ორ დონეზე მოწყობა (მუხიანიდან მოძრავი მანქანებისთვის);
- მარნეულის და რუსთავის გზატკეცილის ქვემო სამგორთან დამაკავშირებელი ხიდის აშენება მდინარე მტკვარზე.

ამავდროულად, რკინიგზის გადატანის შედეგად:

- სატრანსპორტო ნაკადებისგან სრულად განიტვირთება მიმდებარე ქუჩები; 2,000 მანქანა საათში მოაკლდება ქალაქის ცენტრალურ უბნებს;
- მოეწყობა თბილისის აღმოსავლეთის (კახეთის) და დასავლეთის (მცხეთის) მიმართულებების შემაერთებელი უმოკლესი საავტომობილო მაგისტრალი, რაც გააადვილებს გადაადგილებას, როგორც გამჭოლი, ისე ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან ორივე მიმართულებით;
- განვითარდება განივი სატრანსპორტო ქსელი, გაიზრდება საავტომობილო კავშირები და მისადგომობა. მოეწყობა რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი კვანძი: ბუხაიძის ქუჩა, გრანელისა და ლამის ქუჩების გადაკვეთა, ვახუშტის ხიდისა და დეპოს ქუჩა,

სამტრედიის ქუჩა. შედეგად, მიმდებარე ქუჩები სრულად განიტვირთება სატრანსპორტო ნაკადებისგან;

- ისნის ხიდის მიმდებარე გზა გაიყოფა ორად, ერთი არტერია გაყვება არსებულ სარკინიგზო მაგისტრალს და შეუერთდება ახალ გამზირს.

3. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ უპატრონო ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად?

დღეს თბილისის ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით დაახლოებით 3,2 მილიონი ლარი იხარჯება. ამ თანხის დიდი ნაწილი ისევ ბიუროკრატიის შენახვას ხმარდება, ხოლო ნაწილი უბრალოდ იფლანგება. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირებთ ბიუროკარტიულ დანახარჯებს, ხოლო ძირითად თანხებს მივმართავთ:

- უპატრონო ცხოველების თავშესაფრების მოწყობისკენ. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც მუნიციპალური თავშესაფრების მოწყობა, ასევე უკვე არსებულ კერძო თავშესაფრებთან თანამშრომლობა;

- შემუშავდება და განხორციელდება უპატრონო ცხოველების აღწერის, ვაქცინაციისა და სტერილიზაციის სპეციალური პროგრამები.

ამ სფეროში მერია მჭიდროდ ითანამშრომლებს ბიზნესსექტორთან და საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან.

4. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების დარეგულირებისათვის?

განსაკუთრებით მწვავეა რკინიგზის ზონის არეალში მოქცეულ 70-მდე ქუჩაზე არსებული მდგომარეობა. აქ სახლები განიცდის ზენორმატიულ ვიბრაციას, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც რკინიგზის ხაზიდან დაშორება 25-30 მეტრია. საცხოვრებელი შენობების მდგომარეობა მუდმივი საფრთხის ქვეშაა; ვერ და არ ხდება ავარიული შენობების გამაგრება. ამასთან, რკინიგზის გასწვრივ მოქმედებს მშენებლობის შეზღუდვის საშუალოდ 120-მეტრიანი ზოლი. ამ შემაფერხებელი ფაქტორების გამო, იქ არსებული მიწის ნაკვეთების და საცხოვრებელი სახლების ღირებულება გაუფასურებულია და რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია არ არის მიმზიდველი ინვესტორებისთვის.

რკინიგზის გადატანის შედეგად, მიმდებარე საცხოვრებელი გარემო გახდება უსაფრთხო, ჯანსაღი, ხოლო უძრავი ქონება - ინვესტორებისთვის მიმზიდველი. გაუქმდება რკინიგზის სიახლოვეს მოქმედი შეზღუდვა და შესაძლებელი გახდება მიმდებარე უბნების სამშენებლო განვითარება.

ქალაქის იმ უბნებში, სადაც ძირითადად ინდივიდუალური ავარიული სახლები და რთული საცხოვრებელი პირობებია (მაგალითად, ნაძალადევი, სანზონა, ლოტკინი, ავჭალა, ვეძისი), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მდგარი სახლების რეკონსტრუქცია და ახალი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მერიის წერილობითი დასტურით, მსგავსად დღეს მოქმედი პირველი კლასის მშენებლობის რეგულაციისა.

ამავდროულად, "ევროპული საქართველო" საბიუჯეტო სახსრებით გააგრძელებს მწვავედ ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციას.

5. რა ღონისძიებების გაატარებთ ქალაქის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

"ევროპული საქართველოს" ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია ქალაქის ისტორიული უბნების რეაბილიტაცია და იქ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა უბნების (შენობა-ნაგებობების) ავთენტურობის შენარჩუნების, უნიკალური ლანდშაფტის გადარჩენის პრინციპისა და იქ მცხოვრები ადამიანების ინტერესების ურთიერთშეჯერებით. ეს ღონისძიებები დამატებით სამუშაო ადგილებს გააჩენს და გაზრდის ბიზნეს-აქტივობას. თბილისი უნდა იყოს ადგილი, სადაც მცირე, მაგრამ ეფექტიანი ბიუროკრატიის პირობებში, კერძო სექტორი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებსა და დოვლათს.

"ევროპული საქართველო" აამოქმედებს ისეთივე ან მსგავს მიზნობრივ პროგრამებს, როგორიც იყო თუნდაც ,,ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე", რომლის ფარგლებშიც დასრულდა არაერთი დაუმთავრებელი მშენებლობა და ავარიულ სახლებში მცხოვრები ბევრი მოქალაქის საბინაო პრობლემა გადაწყდა. პროგრამაში მონაწილეობა შეეძლება ნებისმიერ მენაშენეს, რომელსაც ავარიული შენობის ადგილზე ახალი პროექტის განხორციელების მიზნით, თბილისის მერიის მიერ წინასწარ მიცემული გარანტიის საფუძველზე, ბანკი მისცემს მშენებლობის დასრულებისათვის საჭირო კრედიტს.

"ევროპული საქართველო" დაიწყებს ავარიული სახლებით დაკავებულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებით, ქალაქის ისტორიულ ნაწილში, განაშენიანების რეგულირების გეგმების შექმნას, რომელთაგან თითოეული პრაქტიკულად იქნება ავარიული სახლების ადგილას ახალი მშენებლობისათვის საჭირო საინვესტიციო პროექტი. მერია, ყოველი ასეთი პროექტის დამუშავების ფარგლებში, დაადგენს თითოეული შენობისთვის კონკრეტული განაშენიანების მოცულობებს და განსაზღვრავს ყველა იმ პარამეტრს, რომელიც, ერთი მხრივ, ამ პროექტს საინვესტიციო თვალსაზრისით მიმზიდველს გახდის და მეორე მხრივ, გაითვალისწინებს ქალაქის ურბანულ ინტერესს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მერია აქტიურად მიაწოდებს ინფორმაციას ავარიულ უბნებში მცხოვრებ მოსახლეობას და პოტენციურ ინვესტორებს. ამ პროცესში, მერია ავარიულ სახლში მცხოვრები პირისთვისაც და ინვესტორისთვისაც უნდა გახდეს პროექტის გარანტი, რაც გულისხმობს ინვესტორისათვის

მაქსიმალური კომფორტის შექმნას, ყველა საკითხის ეფექტურად გადაწყვეტის გზით, მერიის კომპეტენციის ფარგლებში.

6. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის საკითხზე?

ახალი რეგიონული პირობები და გამოწვევები ქალაქში ახალი საზოგადოებრივ-საქმიანი ფუნქციების განვითარებას მოითხოვს. რკინიგზის გადატანა გამოათავისუფლებს ტერიტორიას, რომელიც მოგვცემს დედაქალაქის ახალი, ქვეყნისა და რეგიონული მასშტაბის საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრის აშენების შესაძლებლობას (პროექტის დეტალები იხ. ზემოთ).

პროექტი შექმნის არამხოლოდ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ სამუშაო ადგილებს, არამედ გაათავისუფლებს დაახლოებით 1,5 მილიონ კვადრატულ მეტრს, სადაც შესაძლებელი იქნება, დაპროექტდეს და აშენდეს თბილისის ახალი ცენტრი, კერძოდ, დაახლოებით 800,000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი, 300,000 კვადრატული მეტრი - საოფისე ფართი, ხოლო 200,000 კვადრატული მეტრი - სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები და კაფე-რესტორნები. ამავე ტერიტორიაზე მოეწყობა 20 ჰექტარი ფართობის "ცენტრალური პარკი".

გარდა იმ შედეგებისა, რაც ზემოთ, სხვადასხვა კითხვებზე პასუხისას უკვე მივუთითეთ, რკინიგზის გადატანის შემთხვევაში:

- საცხოვრებელი გარემო გახდება უსაფრთხო, ჯანსაღი, ხოლო დღეს არსებული რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება - ინვესტორებისთვის მიმზიდველი. ისტორიული ცენტრი და დამოუკიდებელ ტერიტორიაზე შექმნილი თანამედროვე საქალაქო ცენტრი ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყოფს: ისტორიული ნაწილის შენარჩუნებასა და გაჯანსაღებას; ფუნქციების გადანაწილებას და, შედეგად, ქალაქის ორგანულ განვითარებას.

- 20 ჰექტარ ტერიტორიაზე დაპროექტდება და გაშენდება ქალაქის ცენტრალური პარკი; შეიქმნება ახალი გამწვანებული სივრცეები; მდინარის ცენტრალური ნაწილის მთელს სიგრძეზე მოეწყობა საერთო საქალაქო რეკრეაციული ზონა.

- ქალაქის ახალ ღერძზე ერთიანად აიკინძება რკინიგზის და მეტროს სადგურები, აეროპორტი და აგლომერაციული ცენტრები (მცხეთა, რუსთავი, გარდაბანი); მოეწყობა თბილისის აღმოსავლეთის (კახეთის) და დასავლეთის (მცხეთის) მიმართულებების შემაერთებელი უმოკლესი საავტომობილო მაგისტრალი, რაც გააადვილებს გადაადგილებას, როგორც გამჭოლი, ისე ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან ორივე მიმართულებით.

- აუთვისებელი საწარმო-სამეურნეო სივრცის ნაცვლად, თბილისის ცენტრში მივიღებთ ახალ საზოგადოებრივ-საქმიან ცენტრს. თავის მხრივ, ახალი საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრი ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე პერიფერიულ საცხოვრებელ ტერიტორიებს (400 ჰა), თბილისის ზღვის რეკრეაციულ ტერიტორიასთან ერთობლიობაში, შესძენს პრესტიჟულობას. არსებული დაბალი ღირებულების საცხოვრებელი ფართი განახლდება, რაც, 50%-იანი რეკონსტრუქციის შემთხვევაში, გვაძლევს 3-3,5 მლნ კვ.მ. ახალ საცხოვრებელ ფართობს.